



შპს თბილისის დავით
სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის
დატვირთვების ნორმები

თბილისი
2019

აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა სრულ განაკვეთზე განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად იხილეთ დანართი N1.

ქვემოთ გრაფიკის სახით წარმოდგენილია შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში- სასწავლო უნივერსიტეტი) აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის შესაძლო კომპონენტების ჩამონათვალი:

№	კომპონენტი
1	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა
2	სააუდიტორიო მუშაობისათვის მომზადება
3	წერთი გამოკითხვის ტესტების შემუშავება
4	აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოებში მონაწილეობა
5	კონსულტაცია
6	პრაქტიკის ხელმძღვანელობა
7	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
8	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
9	ახალი სასწავლო კურსის მომზადება
10	თარგმანის შესრულება
11	სამეცნიერო პუბლიკაცია
12	სამეცნიერო პუბლიკაციის რედაქტირება
13	სახელმძღვანელოს შემუშავება-გამოქვეყნება

14	მონოგრაფიის გამოქვეყნება
15	სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის თარგმანის გამოსაცემად მომზადება - რედაქტირება
16	წარმატებული საგრანტო პროექტის მომზადება
17	სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება
18	სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა
19	აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის არჩევის კომისიებში მონაწილეობა
20	დამატებით ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსება
21	პრაქტიკის ხელმძღვანელობა

პროფესურა და სასწავლო პროცესი

ა) პროფესორი:

- წარმართავს მუშაობას სტუდენტებთან უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატის, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის საბჭოს და სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული სასწავლო პროგრამის შესაბამისად;
- ატარებს ჩათვლებს (ყოველკვირეულ წერით/ტესტურ გამოკითხვას), შუალედურ გამოცდებს და სასწავლო კურსის შემაჯამებელ (ფინალურ) გამოცდას, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან წინასწარ შეთანხმებული ტესტებით, თუ სხვა საგამოცდო მასალებით;
- კურსის დაწყებისთანავე აცნობს სტუდენტს საგნის პროგრამას (სილაბუსს), რომელშიც ლექციების მიხედვით გაწერილია გასავლელი მასალა, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალის მითითებით;
- ამოწმებს ტესტირებისა და გამოცდების შედეგებს და მათგან გამომდინარე აფასებს სტუდენტის ცოდნის დონეს;

- საჭიროების შემთხვევაში უტარებს სტუდენტს დამატებით მეცადინეობებს - კონსულტაციებს.

ბ) პროფესორის მიერ გამოცდის გადატანა

თუ რაიმე მიზეზით ლექტორის მიერ ხდება შუალედური, ან დასკვნითი გამოცდების სილაბუსში მითითებულ თარიღზე ადრე ან გვიან გადატანა, ამის შესახებ მან უნდა აცნობოს, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო პროცესის მენეჯერს, წინასწარი შეთანხმების გარეშე, მხოლოდ სტუდენტებთან მოლაპარაკებით გამოცდების თარიღის თვითნებურად შეცვლა სასტიკად აკრძალულია და აღიქმება, როგორც შინაგანაწესის მძიმე დარღვევა;

გ) პროფესორის მიერ ლექციის გაცდენა

- თუ რაიმე მიზეზით ლექტორის მიერ ხდება ლექციის გაცდენა (ავადმყოფობა, ან სხვ.), ის ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სასწავლო პროცესის მენეჯერს წინა დღით, ან უკიდურეს შემთხვევაში ლექციის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი საათით ადრე.
- პროფესორის მიერ გაცდენილი ლექციის აღდგენა ხდება დამატებით გამოყოფილდღეს სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით.

დ) პროფესორის მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდის მომზადება

პროფესორი ვალდებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდებზე გასატანი კითხვები, ტესტები თუ სხვა მასალა, რომელიც მან უკვე შეუთანხმდა უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანს, ან პროგრამის ხელმძღვანელს, გამოცდამდე ერთი კვირით ადრე გასამრავლებლად გადაუგზავნოს სასწავლო პროცესის მენეჯერს,; აგრეთვე შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგები სამი დღის ვადაში გადაიტანოს საგამოცდო უწყისში და დაადასტუროს შესაბამისი ხელისმოწერით. გამოცდაზე მითითებულ ვადაში არ გამოცხადებული სტუდენტების შესაბამის გრაფაში გააფორმოს არგამოცხადება და უწყისი დროულად ჩააბაროს უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატს, რათა მოხდეს ყოველი სტუდენტის საბოლოო ქულის გაანგარიშება გამოცდის ხვედრითი წილის

გათვალისწინებით. ურჩი დამგვიანებელი პერსონალთათვის შინაგანაწესის დარღვევისათვის ისმება საკითხი მის მიმართ შესაბამისი დამსჯელობითი ღონისძიებების გატარების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული მოქმედი სამართლებრივი ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა

- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი პასუხს აგებს იმ ტექნიკურ საშუალებებზე, რომელსაც ის გამოიყენებს ლექციის ჩასატარებლად.
- ტექნიკის დაკარგვის, ან დაზიანებისას სასწავლო უნივერსიტეტი თანხას გამოქვითავს კონკრეტულ ვითარებაში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის ხელფასიდან.

ვ) პროფესორ-პედაგოგთა ანაზღაურება:

- ძირითად პერსონალს ხელფასი უნაზღაურდება ადმინისტრაციის მიერ თითოეულ პირთან წინასწარ შეთანხმებული და შრომით ხელშეკრულებაში გაწერილი სახელფასო ტარიფით;

- მოწვეულ სპეციალისტებს შრომა უნაზღაურდებათ საათობრივი ანაზღაურების პრინციპით - წაკითხული სალექციო საათების რაოდენობის მიხედვით, იმ სემესტრში, როდესაც აღნიშნული კურსი სტუდენტებს ეკითხებათ. ასეთ შემთხვევაში თანხა, რომელიც პროფესორს აქვს ასაღები, თანაბრად ნაწილდება იმ სემესტრის თვეებზე, რომელ სემესტრშიც ის კითხულობს სალექციო კურსს, თუმცა პროფესორის სურვილის შემთხვევაში, ანაზღაურება შეიძლება გადანაწილდეს 12 თვეზე. მოწვეული სპეციალისტებს სალექციო საათები უნაზღაურდებათ კონტრაქტში აღნიშნული ტარიფით.

დანართი N1

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოცავს: სასწავლო საქმიანობას, კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებს, გრანტზე მუშაობასა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას;
2. სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს:
 - 2.1. პროფესორისთვის - სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ 400 საათისა, მათ შორის:

- 2.1.1. სასწავლო საქმიანობის განხორციელებისას - არანაკლებ 90 საათისა (კვირაში 3 სთ.);
- 2.1.2. კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროგრამებზე, სილაბუსებზე მუშაობა- არანაკლებ 160 საათისა;
- 2.1.3. საკონსულტაციო ხასიათის დატვირთვა, გრანტზე მუშაობა - არანაკლებ 70 საათისა;
- 2.1.4. საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა - არანაკლებ 80 საათისა;
- 2.2. ასოცირებულ პროფესორებისთვის - სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ 500 საათისა, მათ შორის:
 - 2.2.1. სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის - არანაკლებ 180 საათისა (კვირაში 6 სთ);
 - 2.2.2. კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროგრამებზე, სილაბუსებზე მუშაობა- არანაკლებ 180 საათისა;
 - 2.2.3. საკონსულტაციო ხასიათის დატვირთვა, გრანტზე მუშაობა - არანაკლებ 60 საათისა;
 - 2.2.4. საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა - არანაკლებ 80 საათისა;
- 2.3. ასისტენტ-პროფესორებისთვის - სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ 630 საათისა, მათ შორის :
 - 2.3.1. სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის - არანაკლებ 270 საათისა (კვირაში 9 სთ);
 - 2.3.2. კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას საგანმანათლებლო პროგრამებზე, სილაბუსებზე მუშაობა- არანაკლებ 220 საათისა;
 - 2.3.3. საკონსულტაციო ხასიათის დატვირთვა, გრანტზე მუშაობა - არანაკლებ 60 საათისა;
 - 2.3.4. საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა - არანაკლებ 80 საათისა;
- 2.4. ასისტენტისთვის - სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ 515 საათისა, მათ შორის:
 - 2.4.1. სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის - არანაკლებ 150 საათისა (კვირაში 5 სთ);
 - 2.4.2. კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას , სილაბუსებზე- არანაკლებ 225 საათისა;
 - 2.4.3. საკონსულტაციო ხასიათის დატვირთვა, გრანტზე მუშაობა - არანაკლებ 60 საათისა;
- 2.4.4. საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა - არანაკლებ 80 საათისა.
3. თითოეული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა, მისი ოდენობა და სახეები განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით; შესაძლებელია დატვირთვის სახეების შესაბამისად მათ ზღვრულ ოდენობებში ცვლილებების შეტანა, ერთი სახის დატვირთვის ზღვრული ოდენობის შემცირება - სხვა სახის დატვირთვის ზღვრული ოდენობის გაზრდის ხარჯზე და პირიქით, ისე რომ სასწავლო უნივერსიტეტში სრულ დატვირთვაზე მყოფი აკადემიური პერსონალისათვის სასწავლო წლის განმავლობაში დატვირთვის ზღვრული ოდენობა იყოს არანაკლებ წინამდებარე დანართის 2.1, 2.2, 2.3, 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული დატვირთვის ჯამური ოდენობებისა;
4. სასწავლო უნივერსიტეტში არასრულ (ნაწილობრივ) დატვირთვაზე შეიძლება იმყოფებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის მხოლოდ ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ამავდროულად იკავებს სასწავლო უნივერსიტეტში ერთ ან მეტ ადმინისტრაციულ თანამდებობას, ასევე ის

აკადემიური პერსონალი, რომელიც იკავებს აკადემიურ თანამდებობას არასრული (ნაწილობრივი) განაკვეთით; არასრული (ნაწილობრივი) დატვირთვის ოდენობა და პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად მათთან გაფრომებული შრომითი ხელშეკრულებებით და აფილირების ხელშეკრულებით.